



სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის  
წარმომადგენლობითი საბჭო (სენატი)  
დადგენილება № 01-06-02/19

ქ. თბილისი

21 მარტი 2018

სტუ-ის საინჟინრო ეკონომიკის, მედიატექნოლოგიებისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის თეოლოგიის სასწავლო-სამეცნიერო ცენტრისა და ეკონომიკური პროცესების მოდელირების ლაბორატორიის მოდიფიცირებული დებულებების დამტკიცების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების“ მე-11 მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის, სტუ-ის აკადემიური საბჭოს 2018 წლის 14 თებერვლის №01-05-04/06 დადგენილების და წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი) 2018 წლის 21 მარტის №01-06-02/03 ოქმის საფუძველზე საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითმა საბჭომ (სენატი) დაადგინა:

1. დამტკიცდეს საინჟინრო ეკონომიკის, მედიატექნოლოგიებისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის თეოლოგიის სასწავლო-სამეცნიერო ცენტრის მოდიფიცირებული დებულება;
2. დამტკიცდეს საინჟინრო ეკონომიკის, მედიატექნოლოგიებისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ეკონომიკური პროცესების მოდელირების ლაბორატორიის მოდიფიცირებული დებულება;
3. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში, მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ, №6.

სტუ-ის წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი)  
სპიკერი, პროფესორი

  
ჯემალ გაბაშვილი